ცნობის ფურცელი

№ 1738 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 28 თებერვალი № 1738

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით, შაბათს, 2 მარტს, ქართველ-კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში გადახდილი იქმნება დაბადების ასის წლის თავის წირვა და პანაშვიდი საქართველოს განსვენებულის ისტორიკოს-არქეოლოგის

მარი ბროსეს

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 11½ საათზე და დასრულდება 12½-ზე.
(რ. 3—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე.

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ვ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურის, ყელის და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

საზღვარ-გარედ

გერმანია. პრუსიის კონსტიტუციას ბევრი უხივის და დასცინის. იგი მოძველებულია და შეუფერებელი ეხლანდელ ცხოვრებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი ხდება უკანონო მოქმედების კრიტიკა და მართალ საქმის დაცვა.

ამ დღეებში პრუსიის ლანდტაგში დიდი და ცხარე კამათი იყო „კაუფმანის ინციდენტის" გამო. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ კაუფმანი ქალაქის თავის ამხანაგად აირჩია ბერლინის საბჭომ. იმპერატორმა არ დაამტკიცა იგი და ხელ-ახალი არჩევანი მოხდა. მეორეთ იგივე კაუფმანი ერთხმად აირჩიეს, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა არ წარუდგინა იგი იმპერატორს დასამტკიცებლად. მწარე დღე დააყენეს ახალ მინისტრს ფონ-გამერშტეინს ამ ინციდენტის გამო. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც პირველი გერმანიის შესანიშნავი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე რიხტერი იყო. მოგვყავს დაახლოვებით მისი სიტყვა: „ბევრი საინტერესო საკითხებია განსახილველი, მაგრამ მე ეხლა ბერლინის ბურგომისტრის არ დამტკიცებას შევეხები. პრუსიის პალატისათვის პირველი შემთხვევა არ არის, რომ მთავრობას ასე თავისებურად ესმის არჩეულ პირის დამტკიცების უფლება; მაგრამ ისეთი შემთხვევა, რომ მინისტრი არ უხსნიდეს პარლამენტს, თუ რატომ არ დაამტკიცა მეფემ არჩეული პირი, ჯერ არ ყოფილა. წინანდელი მინისტრი მოვალედ რაცხდა თავის თავს მოტივები მაინც მოეყვანა, ბარონ გამერშტეინი კი გვეუბნება, რომ ასეთ პირად კითხვებში საჯაროდ მიზეზების დასახელება უხერხულია. პირადი კითხვებიო? უკაცრავად, ბ. მინისტრო, საქმე ეხება ისეთ პირს, რომლის ცხოვრებაში თვით მტრებმაც კი ვერაფერი გასაკიცხი ვერ იპოვეს; ყველასათვის ცხადია, რომ კაუფმანის არ დამტკიცების მიზეზი მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობაა, და რა უფლებით გვეუბნებით, რომ მიზეზი ვითომ მის კერძო ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ? რომ თქვენ არ გეხერხებათ ნამდვილ მოტივების მოყვანა, ეს მე ძალიან კარგად მესმის, მაგრამ, როცა კონსტიტუცია ავალებდა მინისტრებს პასუხის გებას მთავრობის მოქმედებისათვის, იმას როდი ჰკითხულობდა, თუ რამდენად ეხერხებათ იგი მინისტრებს (სიცილი და მოწონება). სრულებით არ მესმის მინისტრის მეორე მოსაზრება: ბერლინის საბჭოს არ მოჰყავს მოტივები, თუ რისთვის აირჩია ეს პირი და ამიტომ არც მთავრობაა მოვალე მოიყვანოს არ დამტკიცების მოტივებიო. ბატონო მინისტრო, სად არის თქვენი ლოღიკა? ნუ თუ ასეთი უბრალო რამეები არ გესმისთ! საბჭოს თქვენ არ უნდა წარუდგინოთ მოტივები და აქ საბჭოს წინაშე პასუხის გებაზე როდია ლაპარაკი; თქვენ გელაპარაკებიან პალატის წინაშე პასუხის გებაზე და ეს პასუხის გება ხომ იმაში არ მდგომარეობს, რომ თქვენ პასუხი არ მოგვცეთ, როცა გეკითხებიან (სიცილი და დიდი მოწონება).

ეხლანდელი შემთხვევა მით უფრო საყურადღებოა, რომ ფონ-გამერშტეინი, რომელიც ეხლა პასუხს არ გვაძლევს და ბერლინის საბჭოს უარს ეუბნება კაუფმანის წარდგენაზე, იგივე მინისტრია, რომელმაც კაუფმანის პირველად არჩევის შემდეგ დასწერა მოხსენება და სთხოვდა იმპერატორს არჩეულ პირის დამტკიცებას. ამის უარის თქმას იგი ვერ გაბედავს. ან იქნება ამ მოხსენებაში ორი წინადადება იყო—ერთი—დამტკიცების და მეორე—არ დამტკიცებისა, და ორივე წინადადება დასაბუთებული იყო. თუ ეხლანდელ მინისტრების ღირსების გრძნობას და ქვეყნის წინაშე პასუხის გებაზე წარმოდგენას მივიღებთ მხედველობაში, ეს გასაკვირველი არ იქნებოდა (დიდი სიცილი და მოწონება, მარჯვნივ უკმაყოფილება). ბატონებო, როგორ არ ერცხვენია სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც თუნდ მხოლოდ თავის თავს პატივს სცემს—მოვალეობაზე, თანამედროეთა და ისტორიის დაფასებაზე ზურგს [illegible].—ჯერ წარადგინოს არჩეული პირი დასამტკიცებლად და შემდეგ კი სთქვას, რომ [illegible] მეტად საყურადღებო საბუთი [illegible] კაუფმანის არ დამტკიცებისაო", და ამასთანა მინისტრს გაბედულება აქვს გვითხრას, რომ მას სინდისის წინაშე შეუძლია გვთხოვოს ჩვენ ნდობა გვქონდეს მისი? ბ. ფონ-გამერშტეინო, როდის დაკარგეთ თქვენ თქვენი სინდისი? პირველად, როცა სთხოვდით მეფეს დაემტკიცებინა კაუფმანი, თუ მეორეთ, როცა სრულებითაც არ წარადგინეთ დასამტკიცებლად. ჩვენთვის მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, რამ გაიძულათ ხელთათმანივით გამოგეცვალათ რწმენები. თუ თქვენ არას გვეტყვით, ხალხი იფიქრებს: ან თანხმა არ არის მეფის და ვერ ბედავს რამე სთქვას, ან მიზეზები ისეთია, რომ მისი საჯაროდ თქმა სირცხვილია (მოძრაობა და ვაშას ძახილი). თქვენ, ბ. მინისტრო, შემცდარი ხართ, თუ ჰფიქრობთ, რომ თქვენი ქცევა არის ქცევა ტაქტიანი ერთგული მოსამსახურისა: თქვენ არა თუ კონსტიტუციის წინაამდეგ იქცევით, თქვენ არღვევთ პრუსიის ტრადიციასაც. ჯერ კიდევ ფრიდრიხ ვილჰელმ პირველმა სთქვა, რომ ყოველი მოქმედება, რომელიც უკმაყოფილებას იწვევს ხალხში, ისე უნდა აიხსნას, რომ odium'-ი (მძულვარება) სამინისტროს ან ერთ-ერთ მის წევრს ხვდეს წილად და არა მეფეს, რომელსაც ყოველთვის სურს შეირჩინოს „ქვეშევრდომების სიყვარული და ერთგულება" (სიცილი და ვაშა). და თქვენ, ბ. გამერშტეინო, როგორ იქცევით? თქვენის ასეთის ქცევის შემდეგ ინციდენტის ბრალი ვის დაედება? თქვენ კარგად იცით, რომ ბერლინის ინციდენტი აღელვებს არა მარტო ბერლინელებს, არამედ მთელ სახელმწიფოს...

აქ საქმე პრინციპიალური კითხვაა: განა შესაძლებელია ნება მივსცეთ მთავრობას თვითნებურად ისარგებლოს თვის უფლებით კარის კაცების ან პირად სურვილის მიხედვით? წინადაც ყოფილა შემთხვევები, როცა მთავრობა ცუდად ხმარობდა ამ უფლებას, მაგრამ არავის ახსოვს,

---

ფელეტონი

ანატოლი ფრანსის აზრი საყმაწვილო წიგნების შესახებ *)

(ვუძღვნი ბავშვების გულ-შემატკივართ)

უწინარეს ყოვლისა ეს კითხვა უნდა გადასწყდეს: ბავშვებს მივცეთ თუ არა წასაკითხათ განგებ მათთვის დაწერილი წიგნები?

პასუხს თვით გამოცდილება იძლევა: უმეტეს შემთხვევაში ბავშვები ზიზღით უცქერიან განგებ საიმათოდ დაწერილის წიგნების კითხვას. ეს ზიზღი ადვილი მისახვედრია. ბავშვები ორიოდე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ გრძნობენ, რომ მისი დამწერი ცდილა დაახლოვებულიყო მათ ფიქრსა და გონებას და კი დავიწყებიათ თვით ბავშვი მიეზიდნა და ხალისი აღეძრა წიგნის ამბისა; ამისათვის ბავშვი ვერა პოულობს ამ წიგნებში უხილავსა და ახალს რასმე, რასაც ეწაფება ყოველი წლოვანობის ადამიანის სული. მათ, ამ პაწაწინა კაცებს, ებადებათ წყურვილი გაგებისა, თუ რას აკეთებენ ეს სწავლულები და პოეტები. ბავშვებს უნდათ, რომ ფარდა გადასწიონ ქვეყნის საიდუმლოსა. მწერალი კი, რომელიც ცდილობს თავის თხზულებაში დაუახლოვდეს ბავშვის გონებასა და მის ფიქრს, ზიზღსა და საშინელ მოწყენილობას უბადებს მკითხველთ.

სწორედ რომ სამწუხაროა ამ ავტორების მისწრაფება და ფიქრი მეტადრე მაშინ, როდესაც ისინი ცდილობენ უეჭველად ბავშვებსა ჰგავდნენ. მართლაცა და ბავშვებად იქცევიან და თავს აკლებენ ყმაწვილურ უბრყვილობას და უბრალობას. მე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ერთი წიგნი, სახელად „დამწვარი სკოლა", რომელიც წასაკითხად მომცეს. 7 წლისა ვიქნებოდი, მაგრამ მივხვდი კი, რომ ეს წიგნი რაღაც სისულელეს წარმოადგენდა. კიდევ ერთი ამგვარი წიგნი და ყველა წიგნი უეჭველად შემეზიზღებოდა, თუმცა კი წიგნის კითხვის ხალისი არ მაკლდა.

უეჭველია შემეკითხება ვინმე—მაშ არ არის საჭირო ჩვენი თხზულება ბავშვის გონებასა და ცნობას შეუფარდოთ? რაღა თქმა უნდა, რომ საჭიროა, მაგრამ ამას ვერ მიაწევენ ზოგიერთი ავტორები იმ წესით, რა წესსაც ადგანან იგინი საყმაწვილო თხზულების წერის დროს: თვალთ-მაქცობენ ვითომ და გატაცებულნი უბრალო საგნებით, ლაპარაკობენ ულაზათოდ, მათ სიტყვას აკლია ძალი და ენა-მზეობა, უნებურად გაურბიან რაც საჭიროა და რაც აზროვნებას მოუმატებს მოწიფებულ ჭკუას.

ისე კარგად არაფერი ესმით ბავშვებს, როგორც ნიჭიერ და გონიერ პოეტთა მშვენიერი ნაწარმოები მოსწონთ და ამ დიდებულთა ქმნილება და საკვირველი არ არის, რადგანაც სავსეა დიადი სურათებით და მისი ნაწილთა მშვენიერი წყობილება წარმოადგენს აღფრთოვანებულ სისრულეს, საიდანაც მოსჩანს ძალი და დიდება სიტყვისა.

პაწაწინა ბავშვებს რამდენჯერმე მივეცი წასაკითხად კარგი ნათარგმნი ჰომიროს ოდისიანის ზოგიერთი ამბავი. ბავშვების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. დონ-კიხოტი, ზოგიერთი ადგილის გამოკლებით, წარმოადგენს ფრიად სასიამოვნო საკითხავ მასალას 12 წლის ბავშვისათვის. მეც გადავიკითხე ეს კეთილშობით სავსე წიგნი სერვანტესისა, ვისწავლე თუ არა კითხვა და ისე ძალიან მომეწონა და შემიყვარდა, ისე ძალიან გამიტაცა გრძნობამ, რომ ეხლაც კი არა მშორდება ღიმილი სიამოვნებისა ამ თხზულების მოგონებით.

თვით რობინზონ-კრუზო, მთელის საუკუნის განმავლობაში ეს ბავშვებისთვის კლასიკურ ნაწარმოებათ მიჩნეული წიგნი, თავის დროზე დაიწერა სერიოზ კაცათვის ე. ი. ლონდონის ვაჭრების და სახელმწიფო ფლოტის მეზღვაურთათვის. ავტორმა გამოიჩინა დიდი ხელოვნება, ძალა ჭკუისა, დიდი ცოდნა, გამოცდილება. და დღეს ყველა ეს საჭიროდ გახდა, რომ გაერთნენ სკოლის თავხედა და თხუპნია მოწაფეები. თუმცა ავტორს ესენი მხედველობაში არა ჰყოლია ამ შესანიშნავი თხზულების წერის დროს.

სამაგალითო ნაწარმოებში, ეს-ეს არის ეხლა რომ ლაპარაკი მქონდა, მოიპოვება დრამაც და მოქმედი პირებიც. საუკეთესო წიგნს არაფერი მნიშვნელობა არ ექნება ბავშვებისათვის, თუ დაწერილია განყენებულად. ნიჭი განყენებული აზროვნებისა და გაგება თვით განყენებულობისა ადამიანს გვიან განუვითარდება და ისიც არა თანასწორად. სასწაულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ბავშვი, რომელიც გაიტაცებია განყენებულებას.

დეე, ყველა ცოცხლობდეს, დეე, ყველაფერი ამაღლებული, ვრცელი და ძლიერი იყვეს თქვენს ამბავში და უთუოდ მოეწონება ბავშვებს—იმ პირობით კი, რასაკვირველია, რომ არაფერმა მათ უდროვოდ არ აუშალოს გრძნობა. ამიტომ, თუ სადმე განგებ ბავშვებისათვის დაწერილი კარგი წიგნი მოიპოვება, მისი ავტორი ეკუთვნის იმისთანა მწერლებს, რომელთაც იციან ხალხთან ლაპარაკი მათივე ენით. მაგალითად შეგვიძლიან დავისახელოთ: დიკკენსი, რიატისბონი, ოკტავ ფელიერი.

საზოგადოდ მე არაფრად მეჭაშნიკება სპეციალისტები საყმაწვილო ლიტერატურაში. ამ ნაწილში ქალებს უპირატესობას ვაძლევ მამა-კაცების წინაშე, თუმცა კი ფრანგის ქალებში ერთი ოთხი თუ მოიპოვება, რომელთაც შეუძლიანთ ფიქრი და რიგიანად აზრების გამოთქმა.

---

*) ამ საინტერესო კითხვას ჩვენ ისევ დავუბრუნდებით.
ალ. ნ—ძე.

რომ ბურგომისტრი არ დაემტკიცებინათ იმიტომ მხოლოდ, რომ ოცის წლის წინათ იგი მონაწილეობას იღებდა ლიბერალურ კრებებში და ამისათვის გვარდიის პოლკის ოფიცრებმა მოისურვეს პოლკის სიიდან მისი გამორიცხვა. გერმან ბეკერი რამდენიმე წელიწადი ციხეში იჯდა კომუნისტების პროცესის გამო, შემდეგ იგი კელნიდანაც განაძევეს, მაგრამ როცა იგი, 10-ის წლის შემდეგ, ქალაქის თავად ამოირჩიეს, მთავრობას დამტკიცებაზე უარი არ უთქვამს. მიკელი ხომ გლეხების აჯანყებას ჰფიქრობდა?... საქვეყნოდ თავის მოჭრა იქნებოდა, თუ პარლამენტი და მინისტრები გვარდიის ოფიცრის შეხედულებით იხელმძღვანელებენ.... ოცის წლის წინათ კაუფმანი ებრძოდა ანტისემიტისმს, რომელსაც შტეკერი მეთაურობდა. იცით, ვინ შეიქნა მაშინ კაუფმანისა და ჩვენი მოკავშირე? გერმანიის ჯარის გენერალ ფელდმარშალი, რომელიც ანტისემიტისმს გერმანიის დამამცირებლად და შემარცხვენელად სთვლიდა. ეს ფელდმარშალი მაშინ კრონ პრინცი იყო და შემდეგ იმპერატორი ფრიდრიხი გახდა (უკმაყოფილება მარჯვნივ და დიდი მოწონება მარცხნივ)...

ჩვენი მოვალეობაა ვუთხრათ ეხლანდელ მინისტრებს, რომ ქვეყანა თან-და-თან უფრო უკმაყოფილოა მათი, რადგან ასე ნაკლები დამოკიდებულება აქვთ მეფესთან (მოძრაობა). სასახლის ანგარიშს რომ ჰკითხულობ, ხედავ რომ კანცლერი, სამხედრო და საზღვაო მინისტრები ხშირად მიდიან იმპერატორთან და საქმეებზე ელაპარაკებიან; ხან-და-ხან თვითონ იმპერატორი მიდის მათთან. სხვა მინისტრებზე ძალიან ცოტა ისმის და ამბობენ კიდეც, რომ თვეობით და ხან-და-ხან წლობით ვერ ეღირსებიან ისინი იმპერატორთან პირად საუბარს. განა გასაკვირველია, რომ ასეთის წესის დროს პირად კაბინეტის უფროსმა, ადიუტანტებმა და სხვა პირებმა მოიპოვონ გავლენა იქ, სადაც მინისტრების გავლენა უნდა იყოს. ამიტომაც არის, რომ ხშირად ბევრი რამ გაუგებარი და მოულოდნელი ხდება. საზოგადოებას უკვირს და ჰკითხულობს, როდის იყვნენ ჩვენი მინისტრებით. ბოლოს მჟღავნდება, რომ თვითონ მინისტრიც ჩვენსავით გაკვირვებულია, მაგრამ იმდენა გაბედულება არა აქვს, მივიდეს და უთხრას—ეს შეუძლებელია, ამის პასუხის გებას ვერ მივიღებ თავზედ. ბატონებო, თუ თქვენ ფლიგელ-ადიუტანტების ოდენაც არ შეგიძლიათ გაკეთება, როგორ თხოულობთ პარლამენტის ნდობას თქვენის მოქმედებისადმი, თქვენის გონიერებისა და სინიდისისადმი! ის მინისტრი, რომელიც მის რწმენის წინააღმდეგ ხელს აწერს მეფის დადგენილებას, არაფრით არ განირჩევა უბრალო „სტოლის უფროსისაგან“, რომელიც თვის ხელის მოწერით ამოწმებს, რომ ქაღალდი სწორედ არის გადაწერილი! ეს არა თუ კონსტიტუციის წინააღმდეგია, იგი საკადრისი არ არის კაცისათვის, რომელიც პირად პატივისცემას თხოულობს სხვებისაგან“.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 27 თებერვალი

ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ, თანახმად პროკურორის აზრისა, სრულიად მოსპო გამგეობის წევრის ვოლსკისა და საბჭოს 20 ხმოსნის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება, რადგან მათ მოქმედებაში არავითარი დანაშაულობა არ აღმოჩნდა.

ახალი ამბავი

✦ პარასკევს, 1 მარტს, ტფილისის საკრებულო ტაძრებში,—სიონისა და სამხედროსაში—გადახდილ იქმნება პანაშვიდები **იმპერატორის ალექსანდრე მეორის** სულის მოსახსენებლად.

✦ შაბათს, 2 მარტს, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნება **პანაშვიდი გოგოლის მოსახსენებლად** ტფილისის საქალაქო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის და საბჭოს ხმოსნებისათვის.

✦ გუშინ ტფილისში ცნობა მოვიდა, რომ 25 თებერვალს მოსკოვში **გარდაიცვალა** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი სანდრიგაილო.

✦ 10 მარტის 1902 წლის, **ვ. აბაშიძის** საიუბილეო წარმოდგენისათვის ბილეთები ისყიდება დღეიდანვე ქართული თეატრის კასაში.

✦ ტფილისის გუბერნიის **უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი** ბ. ხელიმსკი ამ ჟამად აგროვებს საყურადღებო მასალას ტფილისის ფაბრიკა-ქარხნებისა და სამრეწველო დაწესებულებათა შესახებ. ცნობები შეეხებიან: ფაბრიკებისა და ქარხნების რაოდენობას, მუშების რაოდენობას, მათ მდგომარეობას, წლიურ ნაწარმოების ღირებულობას თითოეულ ფაბრიკა-ქარხანაში და სხვა. ყველა ეს ცნობები საჭიროა გუბერნიაში საფაბრიკო ინსპექციის მოწყობისათვის.

✦ ადგილობრივ სახელმწიფო ქონებათა მმართველობამ გარდასწყვიტა დაჰყოს **ავლაბრის სახაზინო მიწები** სამოსახლო ადგილებათ და დაურიგოს ისინი მსურველთ, საიჯარო გადასახადის დაწესებით.

✦ ხაზინას ტფილისში, სხვათა შორის, ეკუთვნის ეგრედ წოდებული **საეკლესიო მიწები.** ესენი, ჯერ კიდევ ეკკლესიას რომ ეკუთვნოდნენ, იჯარით ჰქონდათ აღებული სხვა-და-სხვა პირთ მეტად მცირე ფასში. რადგანაც ამ ადგილებს ძალიან მცირე შემოსავალი მოაქვთ ხაზინისათვის, ამიტომ სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ მმართველობის ერთ-ერთმა მოხელემ შეიმუშავა პროექტი, რომელიც უკვე წარუდგინა მთავრობას და რომელშიაც საჭიროდ აღიარებს შემდეგს: ან მიეცეს მოიჯარადრეებს წინადადება სრულიად გამოისყიდონ ეს ადგილები, ან და ახალის წესით იქმნან გაცემული ეს ადგილები იჯარით, რათა საიჯარო გადასახადი შეუფარდონ ადგილ-მამულების ახლანდელს ფასებსა და შემოსავალსო.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ ურჩია სახელმწიფო ქონებათა კავკასიის მმართველობათ დაჰყონ საავარაკო ადგილებში სახაზინო მიწები **სამოსახლო უბნებად** და იჯარით გასცენ ისინი მსურველებზე.

✦ „კავკაზ“-ს გაუგონია, რომ სოხუმის ეპარქიას ჩამოაშორებენ საქართველოს საეგზარხოსოს და დაუქვემდებარებენ პირდაპირ უწმ. სინოდს.

✦ დღეს, საღამოს, დანიშნულია **სიფხიზლის საზოგადოების** კომიტეტის სხდომა მომავალ სახალხო სახლის შესახებ საქმის განსახილველად.

✦ უწმ. სინოდის განკარგულებით, **არხიმანდრიტი ნიკანდრი** დაინიშნა საქართველოს სინოდალურ კანტორის შტატ-გარეშე წევრად.

✦ საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განზრახვა აქვს დანიშნოს საეკკლესიო-სამრევლო სკოლების **სამაზრო ზედამხედველები**; ამგვარი ზედამხედველი დაინიშნება სამი ან ოთხი იმ მღვდლებიდან, რომელთაც მრევლი არა ჰყავთ, და ჯამაგირად მიეცემათ 1200 მან.

✦ გუშინ, 27 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მისწერა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რაც შეიძლება მალე წარუდგინოს მას თვისი მოსაზრებანი კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის წარმომადგენელის შენიშვნებზე ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ.** სხვათა შორის, ხსენებული წარმომადგენელი შენიშნავს, სახელოსნო განყოფილება იმდენად ვიწროა ამ ჟამადაო, რომ ყოვლად შეუძლებელია 120 კაციც მოთავსდეს და იმუშაოს შიგ, მაშინ როდესაც იქ მუშაობს თურმე 230 კაციო. სამოსწავლო ოლქის უფროსი, აღნიშნავს-რა სხვა ასეთ, სწავლის შემაფერხებელ, გარემოებათ, ითხოვს, რაც შეიძლება მალე შეუდგეს ქალაქის თვით-მმართველობა სასწავლებლის სახელოსნო განყოფილების იმდენად გაფართოვებას, რომ იქ სამუშევრად ეტეოდეს 240 კაცამდე. ამ განყოფილების სამუშაო იარაღები შეცვლილ იქმნეს ახალზე, რადგანაც ეხლანდელები მეტად დაძველებულან და აღარ ვარგანან; ორთქლის ქვაბი გამოტანილ იქმნეს იმ განყოფილებიდან სხვა ადგილას, რათა მოსალოდნელ უბედურებისაგან უზრუნველ-ყოფილ იქმნენ მოსწავლენი; ამასთანავე ორთქლის ქვაბი უნდა შეამოწმოს საგუბერნიო ტეხნიკოსმა; ლითონის ჩამოსასხმელი განყოფილება უნდა გადატანილ იქმნეს სხვა, უფრო ნათელ, ადგილზედ. დასასრულ ოლქის უფროსი ამბობს: რადგანაც დრო გამოშვებით სასწავლებლის სამუშაო იარაღებს შეკეთება სჭირია, და ამისათვის სასწავლებელს მუდმივი თანხა უნდა ჰქონდეს, საჭიროა ქალაქის თვით-მმართველობამ ამ საქმისათვის გადასდვას სახელოსნო სასწავლებლის ნაწარმოებთაგან შემოსული ფულიო. ამ საქმის განსახილველად სასწავლებელთა გამგე-კომისიას ახლო მომავალში ექნება სხდომა.

✦ კავკასიის საექიმო ნაწილის უფროსი ცირკულიარით მიიქცა ჩვენის ქვეყნის ყველა საექიმო დაწესებულებებთან და სთხოვს მათ, ურჩიონ სოფლებს **კერძო ქსენონების** დაარსება.

✦ გუშინ, 27 თებერვალს, ამიერ-კავკასიის რკინის გზების ახალი უფროსი ინჟინერი **ი. კ. ივანოვსკი** გაეცნო თავის ხელქვეით მოხელეთ. ჯერ ყველა განყოფილებათა უფროსნი და მათი თანაშემწეები გაიცნო და მიჰმართა მათ სიტყვით; შემდეგ დაიარა მმართველობის ყველა განყოფილებანი, სადაც მას წარუდგინეს უფროსი მოხელენი.

✦ 26 თებერვლის ტფ. საქალაქო გამგეობის სხდომაზე ქალაქის თავის მოადგილემ, ბ-ნმა შესტაკოვმა, აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ, რადგანაც ქალაქის პატარა ბაღში პუშკინის **ძეგლი მეტად დაძველდა,** საჭიროა მის შესაკეთებლად 500 მ. იქმნეს გადადებული ქალაქის საშუალებიდანაო. გამგეობამ გადასწყვიტა შეტანილ იქმნეს ქალაქის მიმდინარე წლის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაში 500 მან. პუშკინის ძეგლის შესაკეთებლად.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაწვრილებით გამოიკვლია მიზეზები იმისა, თუ რად სწარმოებს ტფილისში უწესრიგოდ **ხორცის ვაჭრობის საქმე** და, სხვათა შორის, დარწმუნდა, რომ ამ საქმის მოუწყობლობაში ძალიან არიან დამნაშავენი მედუქნეები; ამიტომ გუბერნატორი, როგორც ატყობინებს ქალაქის თავის მოადგილეს, ამ დღეებში მიიწვევს ყველა მედუქნეებს, რომელნიც ხორცით ვაჭრობენ, და თვითონ გამოუცხადებს, რომ სასტიკ ადმინისტრატიულ ღონისძიებათ მიიღებს მათ წინააღმდეგ, თუ ბეჯითად არ შეასრულებენ ხოლმე სავალდებულო დადგენილებათ.

✦ ტფილისის გადასახადთა ინსპექტორებმა წარუდგინეს განსაკუთრებულს საქალაქო კომისიას საჭირო ცნობები იმის შესახებ, თუ **როგორი ფასებია ამ ჟამად ტფილისში სადგომებზე.** კომისიამ უნდა განიხილოს, ამ ცნობების მიხედვით, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად გადიდებულ

ყოველთვის, როცა კი ბავშვები გყავთ მხედველობაში, ნუ ეძებთ სხვა გზას, სხვა ხერხს ნუ მიჰმართავთ. იფიქრეთ უკეთესად და უკეთესათა სწერეთ. ეს ყოვლად შემძლებელი საშუალებაა თქვენი თავი მოაწონოთ მკითხველებს. რაცა ვთქვი, ისიც საკმარისი იყო დასახასიათებლად აღძრული საგნისა და გავჩუმდებოდი კიდეც, რომ ერთი გარემოება ხელს არ მიშლიდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ უკანასკნელის ოცი წლის განმავლობაში საფრანგეთშიაც და სხვაგან ბევრგანაც გავრცელებულია ის აზრი—ვითომ **პოეზია** ბავშვის გონებას ავნებდეს და ამიტომ წასაკითხად მხოლოდ სამეცნიერო წიგნები უნდა ეძლეოდესო.

ამ აზრმა ისეთი ძლიერი მდინარება მისცა საზოგადოების თვის-შემგნებლობას, რომ „პერროს“ შესანიშნავი ზღაპრები ეხლა მხოლოდ მხატვრებისათვის და წიგნის ვაჭრებისათვის იბეჭდება. ეს სასიქადულო წიგნები მხოლოდ მდიდრებისა და აკტრისტების ბიბლიოთეკებს ამშვენებს და მათი მშვენიერი ოქროს-ვარაყიანი ყდები ათას-ფრანკობით ფასობს. მათ მაგიერად კი სთავაზობენ საჩუქრად კატალოგს წიგნებისას, სადაც ბავშვის თვალი აწყდება დახატულ ობობას, ბუზსა და სხვა-და-სხვა საფიზიკო ხელ-საწყოებს. ამითი უნდათ მოჰხიბლონ ბავშვები და **ბავშვური** ყველაფერი გაუქარწყლონ.

ყოველი წლის დასასრულს, როგორც ოკეანეს ზვირთები, ისე წაგვლეკენ ხოლმე „ჭაბუკის გონებასთან შეფარდებულის“ თხზულებითა. ვირჩობით ამისგან, მთლად დაბრმავებულები ვართ. აღარსად მოსჩანს მშვენიერი სურათები, კეთილშობილური აზრები, ხელოვნება, გემოვნება და ყოველივე კაცობრივი. მხოლოდ ხიმიკური რეაქციები და ფიზიკური აღწერილობანი-ღა შეგვრჩენია.

ლუი ფიგიეს, ფრიად პატივცემულ ადამიანს, ვერ მოუნელებია ის გარემოება, რომ ქალთა და ვაჟთა აქამომდე საინტერესოდ მიაჩნიათ ზღაპარი „წითელი ქუდი“. განზრახ დასწერა წინასიტყვაობა თავის წიგნში, რომ დაერწმუნებინა მშობლები „პერროს ზღაპრების“ მავნებლობაზე და აღემაღლებინა მათ თვალში თხზულება თავის მეგობრის დოქტორ ლიუდოვიკ ფიკუსისა. ერთს ადგილასა სწერავს: „ჟანნა, დაკეცეთ, გეთაყვა, ეგ წიგნი, გადისროლეთ შორს ეგ ზღაპრული სისულელე, რომელიც თქვენ აგრე მოგწონთ და მის წაკითხვის დროს ცრემლებსაც კი აფრქვევთ ხოლმე. უკუ აგდეთ ყველა ეს და მაგიერ დაიწყეთ ბუნებითი კანონების შესწავლა“. ბ-ნმა ლუი ფიგიემ აღმოაჩინა, რომ ფეიები—წარმოდგენითი სულდგმულები არიან და ამიტომ მათზე ბავშვებს არ უნდა ელაპარაკოთო. გარწმუნებთ, ბატონო დოქტორო, რომ ფეიები იმისთვის არსებობენ, რომ წარმოდგენებითი არსებანი არიან; შეადგენენ კუთვნილებას გულწრფელისა და გულუბრყვილო ხალხისას და ამშვენებენ და ალამაზებენ მის საწამებელს და მის მუდამ ნორჩს პოეზიას.

პაწაწინა წიგნიც-კი, თუ იგი გამომწვევლია პოეტური აზრისა, ამაღლებული გრძნობისა და სულისა, უფრო სასარგებლოა, ვიდრე სხვა ყოველივე წიგნი, გაჟღენთილი მეხანიკური საცნობელითა.

დიდისთვისაც და პატარა ბავშვებისთვისაც საჭიროა ზღაპრები, კარგი ზღაპრები ამბად ან ლექსად დაწერილნი, რაიცა გააცინებს და ატირებს და სულს აღტაცებაში მოიყვანს.

დღეს მე მივიღე დიდის აღტაცებით წიგნი—სახელად **„მოხიბლული ქვეყანა“**. შიგ მოთავსებულია თორმეტიოდე ჯადო ზღაპარი. პატივცემული და ფრიად განსწავლული გამომცემელი ამ წიგნისა, ბ-ნი დე-ლესკიური, განმარტებს წინასიტყვაობაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გონებისათვის ამისთანა ზღაპრებს. „მოთხოვნილება, ცოტახნობით დაივიწყო ქვეყნიერება, მისი სინამდვილე, მისი ცრუ მაცდურებანი, მისი შეურაცხებანი, რომელნიც მეტის-მეტად ცუდად მოქმედობენ ამაყ სულზე, მისი თავსაცემი უბედურებანი—მტანჯველნი მეტად მგრძნობიერი ადამიანებისთვის—საერო მოთხოვნილებაა. ნიჭი ოცნებისა, ვიდრე სიცილი, გაარჩევს ადამიანს პირუტყვებისაგან და ამტკიცებს მის უპირატესობას მათ წინაშე“.

აი სწორედ ამ ოცნებობის მოთხოვნილებას გრძნობს ბავშვი. გრძნობს—თუ როგორ მუშაობს მისი გამომხატველობა და ამისთვის სწყურია მას ზღაპრები.

მეზღაპრეები გადააკეთებენ ხოლმე თავისებურად და ამითი აძლევენ შემთხვევას სხვასაც, უფრო კი სუსტებს და უძლურებს, უფრო პაწაწინებს—აგრეთვე გადაკეთონ თავისებურად. ამისთვის მისი ზედ-გავლენა ძლიერ ნაყოფიერია. შველიან გამომხატველობის მუშაობაში, უღვიძებენ გრძნობას დაუძლიერებენ სიყვარულს.

ნუ შეუშინდებით, რომ ისინი ატყუებენ ბავშვებს, როდესაც მათ ელაპარაკებიან ვილაც ქონდრის-კაცებზე და ფეიებზე. ბავშმა კარგად იცის, რომ ამისთანა მშვენიერი არსებანი არ მოიპოვებიან ცხოვრებაში. ბავშვეს ატყუებს ეს თქვენი სამხიარულო მეცნიერება, იგი მათ შორის ავრცელებს ცდომილებას, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელ საქმედ ხდება. გულ-უბრყვილო ბიჭუნები უჯერებენ ჟიულ-ვერნს—რომ შეიძლება გაადაფრინდე მთვარეს ზარბაზნის ყუმბაროსანი და რომელიმე ორგანიზმი შეიძლება დაუსჯელად განთავისუფლდეს მიმზიდველობის კანონის მოქმედებისაგან. ამ კარიკატურას ცათა სივრცის მეცნიერებისას, ამ ძველს და პატივცემულ ასტრონომიას აკლია სიმართლე და მშვენიერება.

ერთი ეს მიბრძანეთ—რა სარგებლობა უნდა გამოიტანოს ბავშმა მეცნიერების დაულაგებელ მზობისაგან, მუდამ მტყუანა პრაქტიკულ მწერლობისაგან, რომელიც არაფერს აძლევს არც გონებას და არც გამომხატველობას.

ალ. ნათაძე

უნდა იქმნას ქალაქის შემწეობა სამხედრო პირთათვის ბინის ქირაობისათვის.

◆ ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ გუშინ წარუდგინა დასამტკიცებლად ტფ. გუბერნატორს **საბჭოს უკანასკნელი დადგენილება** 2 ახალის ბარაკის აგების შესახებ და აგრეთვე საადრესო სტოლის საქმის განსახილველ კომისიის წევრების არჩევანი.

◆ ტფ. საქალაქო მმართველობამ უკვე კარგა ხანია გარდასწყვიტა თავის განკარგულებაში მიიღოს **პროსტიტუციის** მოწესრიგებისა და კანტროლის საქმე ისე, როგორც ეს სხვა დიდ ქალაქებშია. მაგრამ საქმე მეტად გაჭიანურდა, რადგან პროექტი ჯერაც არ არის დამტკიცებული. ამიტომ ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ გუშინ მიჰმართა თხოვნით ტფ. გუბერნატორს-შეატყობინოს მას, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ქალაქის ხსენებული პროექტი.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფ. საქალაქო გამგეობის ერთ-ერთ მსახურს გამგეობის წევრის ბ. ენფიანჯისთვის წარუდგენია მოხსენება, რომელშიაც ამტკიცებს, **საქალაქო ტეხნიკოსები** თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ და ეს თანამდებობა სრულიად უნდა მოისპოსო (sic!).

◆ ტფ. საქალაქო გამგეობის წევრმა, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა, წარუდგინა გამგეობას პროექტი იმის შესახებ, რომ ქალაქის ყველა მოედნები განათებულ იქმნას **გალკინის სისტემის ფარნებით.** გამგეობა ამ დღეებშივე განიხილავს პროექტს და საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად.

◆ **ციციშვილის აღმართის** კომისიამ საბოლოოდ მოიწონა ინჟ. იუზბაშევის პროექტი და მიუსაჯა მას მეორე პრემია (სამას მანეთიანი); ასე რომ 1-ლი და მე-3 პრემია აღარავის არ დაენიშნა. კონკურსს გარეშე წარმოდგენილი პროექტი ბ. ტრონოვისა კომისიამ დაიწუნა.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ამას წინად ნაძალადევის ქვემო ნაწილის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურთან რკინის გზის ლიანდაგზე, პავლოვსკის ქუჩის პირდაპირ, ფეხით სასიარულო გადასასვლელი **ხიდი გაეკეთებინათ.** რკინის გზის სამმართველოს პავლოვსკის ქუჩის პირდაპირ ხიდის გაკეთება უკვე გადაუწყვეტია და სამმართველომ ამ დღეებში კიდეც მიჰმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, გამოგვიგზავნეთ ქალაქის მეათე ნაწილის გეგმა, სადაც დაწვრილებით იქნეს აღრიშნული, თუ რომელს ადგილზე უნდა იქნეს ხიდი გაკეთებული ლიანდაგზე გადასასვლელადაო.

◆ 26 თებერვალს, სასოფლო-სამეურნეო **საბჭოს სხდომაზე** რამდენიმე მცირე მიმდინარე საქმე იქმნა გარდაწყვეტილი; სხვათა შორის, საბჭომ განიხილა სვირის საზოგადოების თხოვნა—ნისიათ დაგვითმეთ ვაზის სარჩენი სხვა-და-სხვა წამალიო—და დაადგინა ეკითხოს ხსენებულს საზოგადოებას სახელდობრ, რა პირობებით ჰსურთ მიიღონ წამლები.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრომ დაამტკიცა **„კავკასიის სამთო კლუბის“** წესდება. ამ ახალს საზოგადოებას საგნად აქვს, ყოველ მხრივ შეისწავლოს კავკასიის უმთავრესი ქედი და ყველა მთები; სხვათა-შორის, საზოგადოებას განზრახვა აქვს შეისწავლოს და გამოიკვლიოს კავკასიის სამთო მრეწველობა და მთებში მეურნეობის მდგომარეობა.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრო იხილავს ამ ჟამად საკითხს ბათუმის ოლქში ახალ **ჩაიე პლანტაციების** მოწყობის შესახებ.

◆ 7 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს სამსონ ჩხარტიშვილისას, რომელსაც ფიც ქვეშ ცრუ ჩვენების მიცემა ბრალდება.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს 16 მარტს საქმეს პავლე მელიქოვისას, რომელსაც ბრალდება სიყალბის ჩადენა.

◆ ფოთიდან გვწერენ: „სამშაბათს, 19 თებერვალს, ადგილობრივ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ გაიმართა ქართული წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან. წარმოდგენილ იქმნა სამი ვოდევილი 1) „ცოლი თუ გინდა ეს არის“, 2) „იჭვიანი“ და 3) „ბუტიაობა“. წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა. კარგად თამაშობდნენ ქ.ქ. ალ. ჩაჩანიძე, თ. მაღანია და მ. ტერ-აკოფოვი. ბ.ბ. თ. გოგიტიძე, ვ. ახობაძე, ხარაბაძე და ნ. დავიდოვი. განსაკუთრებით ძლიერ ცოცხლათ ჩაატარეს „ბუტიობა“ ქ-ნ ა. ჩაჩანიძემ და და თ. გოგიტიძემ. დასასრულ ამათ დასაჯილდოებლად საზოგადოების „ვაშას“ ძახილს და ტაშის ცემას დასასრული აღარ ჰქონდა და ბოლოს ბ-ნ. თ. გოგიტიძის თაოსნობით დაიდგა ცოცხალი სურათები, რომელიც ძალიან ლამაზათ იყო მოწყობილი და საზოგადოებაც მეტის მეტად ნასიამოვნები დარჩა. ცოცხალი სურათების დადგმა მგონი პირველი უნდა იყოს ფოთში და, იმედია, ეს პატივ ცემული პირები შემდეგშიაც არ მოგვაკლებენ გონებრივ გართობას და სკოლასაც შემწეობას აღმოუჩენენ.

◆ უცნობმა პირმა შესწირა პირუტყვთა მფარველ ტფ. საზოგადოებას 100 მანათი იმ ფონდის გასაძლიერებლად, რომლით უნდა აშენდეს პირუტყვთა საავადმყოფო.

◆ ტფილისის საყასბოს ბეითლებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას 2 კვირის თავისუფლება მიეცათ მათთვის, რადგანაც მარხვის გამო სასაკლაოზე საქონლის კვლა ძლიერ შემცირდა. ქალაქის გამგეობამ ბეითლების თხოვნა განიხილა 26 თებერვალს სხდომაზე და დაადგინა—უყურადღებოდ იქნეს იგი დატოვებულიო. გამგეობამ ამასთანავე გადასწყვიტა წინადადება მიეცეს ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს, რადგანაც სასაკლაოს ბეითლებს ცოტა საქმე ჰქონიათ, მოიხმარონ იგინი ხორცის ხარისხებად დაყოფის საქმეში.

დაბა-სოფლები

დრანდა (სოხ. ოლქი). 31 იანვარს აქ მოხდა წლიური კრება დრანდის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების „აბრეშუმის“ წევრთა.

განსახილველი საგნები იყო: დამტკიცება გასული წლის შემოსავალ-გასავალის, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და ზოგიერთ თანამდებობის პირთა არჩევა. კრება ნაშუადღევის ორ საათზედ გაიხსნა ბნ. მიხ. თოიურიძის თავმჯდომარეობით. ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ გასულ 1901 წლის განმავლობაში პარკის ყიდვა-გაყიდვით საზოგადოებას წმინდა მოგება დარჩენია 651 მან. ამ ჟამად საზოგადოებას სულ 125 წევრი ჰყავს და წილი 10 მან. ღირს წესდება საზოგადოებისა შედგენილია თანახმად ნორმალურისა და დამტკიცებულია სათანადო მთავრობისაგან. ანგარიშის მიღებისა და ახალ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ ბ-მა გ. წერთძემ, რომელიც საზოგადოების ხაზინადრათ იყო და 1901 წლის განმავლობაში მთელ საქმეებს განაგებდა, უარი განაცხადა თანამდებობაზედ დროის უქონლობისა გამო და წინადადება მისცა კრებას მის მაგიერ სხვა ვინმე ამოერჩიათ და კიდევ ორი ახალი წევრი გამგეობისა თანახმად წესდების და კიდევ სამი კაცი სარევიზიო კომისიისათვის. კრებამ მადლობა გადაუხადა ბნ. გ. წერთძეს უანგარო შრომისათვის და ამოირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები, თავმჯდომარედ კი ისევ ძველი დასტოვა.

ჭიათურა. რამდენად თავ-აშვებულად და უზრდელად იქცევიან ჭიათურის რკინის გზის სახალხო მატარებლის ზოგიერთი კონდუქტორები, მკითხველი, სხვათა შორის, დაინახავს შემდეგის არა სასიამოვნო გარემოებიდან: კვირას, 24 თებერვალს, სახალხო მატარებელი გამოვიდა სადგურ დარკვეთიდან შორაპნისაკენ ნაშუადღევის სამ საათზე; დარკვეთის სადგურზე ბილეთის აღება ვერ მოესწრო ერთი იქაურ მცხოვრების გ- -ლის მეუღლეს მხლებელითურთ და უბილეთოდ ჩამჯდარიყო ვაგონში. კონდუქტორს ქალმა ერთი მანეთი მისცა და უთხრა, რადგანაც აქვე, ერთი ვერსის შემდეგ პლატფორმაზე ჩამოვხტებით, ამიტომ ამ ფულიდან აიღეთ ბილეთის ფასი და დანარჩენი უკანვე დამიბრუნეთო. კონდუქტორმა გადაატრიალ-გადმოატრიალა ხელში მანეთი და ჯიბეში ჩაიდვა. როცა მოსთხოვეს ხურდა, მან ცივი უარი განუცხადა: „რისი ხურდა, მანეთი ჩემი იყო და ბილეთის ფასი კიდევ თქვენგან გვერგებაო“. ამაზე შექნათ ლაპარაკი, რომლის დროსაც ქალსა და მის მხლებელს დიდი ზნეობრივი შეწუხება და შეურაცხყოფა მიაყენეს; მხლებელს კონდუქტორი წვერში ეცა და ჯანჯღალი დაუწყო. მხოლოდ ზოგიერთ მგზავრის გამოქომაგებამ მოუღო ბოლო ამ ამ შემაძრწუნებელ სურათს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამგვარ საქციელს ჩვენის რკინის გზის ზოგიერთ თავ-აშვებულ მოხელეებისას.

რუსეთის ქრონიკა

∝ ამ დღეებში დეპეშამ მოკლედ გადმოგვცა დიდად საყურადღებო ამბავი საერო განათლების სამინისტროს ახალის განკარგულების შესახებ. ახლა გაზეთებში ვკითხულობთ უფრო ვრცელს ანგარიშს ამ განკარგულების შესახებ. საერო განათლების სამინისტრო ავალებს სამოსწავლო ოლქებს წელსვე შემოიღონ შემდეგი ახალი წესი ეგზამენებისა და ნიშნების შესახებ საშუალო სასწავლებლებში: 1) გიმნაზიის, პროგიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის მოწაფენი, რომელთაც ყოველს საგანში ნიშანი სამი (3) აქვთ ან უფროსი ნიშანი, უეგზამენოდ უნდა იქმნენ გადაყვანილნი შემდეგ კლასებში; თუ მოწაფე სუსტობს რომელსამე საგანში, თუმცა ნიშანი 3 უზის, პედაგოგიურ საბჭოს ნება აქვს დაუნიშნოს მას საზაფხულოდ დამატებითი მუშაობა, გადაყვანით კი უთუოდ უნდა გადაიყვანოს შემდეგ კლასში. 2) მოწაფეთ, რომელთაც ცუდი ნიშანი აქვთ (2 ან 1) ერთს ან ორს სამეცნიერო საგნებში, ხოლო რეალურ სასწავლებელში ხაზვა-ხატვაში და სამეცნიერო საგნებში, მათ, პედაგოგიურის საბჭოს დადგენილებით, უნდა დაენიშნოს ეგზამენი იმ საგნებში, რომელშიაც ცუდი ნიშანი აქვთ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პედაგოგიური საბჭო დარწმუნდება, რომ მოწაფემ მეტად ცუდათ იცის საგანი და იმედიც არ არის—მომავალში გასწორდეს, საბჭოს ნება აქვს დასტოვოს მოწაფე მეორე წელს იმავე კლასში, მაგრამ ამ შემთხვევაში უთუოდ საოლქო მზრუნველის ნება-რთვაა საჭირო. 3) მოწაფენი, რომელთაც ცუდი ნიშანი (2 ან 1), გარდა ორ ხსენებულ საგნებისა, სხვა საგნებშიაც აქვთ, უნდა დატოვებულ იქმნენ იმავე კლასში; მათ ეგზამენის დაჭერის ნება აღარ აქვთ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მზრუნველის ნება-რთვით, საბჭოს შეუძლია ამათაც დაუნიშნოს ეგზამენები იმ საგნებში, რომლებშიაც ცუდი ნიშანი აქვთ. 4) ამ წესების მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნული ეგზამენები მოწაფეთ უნდა დაენიშნოს ზაფხულის შემდეგ. მხოლოდ თუ მოწაფეს ერთ საგანში აქვს ცუდი ნიშანი, მაშინ შეიძლება, მას ეგზამენი გაზაფხულზე დაენიშნოს, სწავლის გათავების შემდეგ. ვინც გაზაფხულზე დაიჭერს ეგზამენს, მას ზაფხულის შემდეგ აღარ დაენიშნება ხელმეორე ეგზამენი, თუ ცუდი ნიშანი მიიღო. 5) მოწაფენი, რომელთაც უეგზამენოდ გადიყვანენ შემდეგ კლასებში, თუ თავის ყოფაქცევითა და სწავლით ღირსნი არიან დაჯილდოვებისა, დაჯილდოვებულ უნდა იქმნან იმავე წესით, როგორც მათ დღემდის აჯილდოვებდნენ. 6) საზაფხულო ვაკაციების შესახებ უწინდელი წესი რჩება ძალაში. დანარჩენში—შესახებ მისაღებ, გადასაყვან და კურს დასასრულებელ ეგზამენებისა—ძალაში რჩება 1901 წლის წესი. ზემო აღნიშნულ ექვს მუხლში დასახელებული წესები საქალებო გიმნაზიებზედაც ვრცელდება, გარდა მე-7 და მე-8 კლასებისა, რომლებშიაც ძალაში რჩება აწ არსებული წესი.

∝ საშუალო სკოლის რეფორმის კომისია გაიყო 14 სექციად მომავალ სკოლის პროგრამის დაწვრილებით შემუშავებისათვის-მუშაობის დაჩქარებისა და გაუმჯობესობისათვის. სექციების თავმჯდომარეთ ნება მიეცათ მიიწვიონ ხოლმე თავის არჩევით მცოდნე და გამოსადეგი პირები. ამ ნებით სექციების თავმჯდომარეებმა უკვე ისარგებლეს და დიდძალი პედაგოგები მიიწვიეს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. ამის გამო კომისიის მუშაობა ბოლოს დროს ძალიან გაცხოველდა და წინ წაიწია.

∝ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს სამმართველოში დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს სამმართველოს უფროსი გენ. პეტროვი და რომელსაც დაევალა საბოლოოდ შეიმუშავოს ნორმალური შტატები ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისათვის. ამ შტატებს კარგა ხანია მოუთმენლად მოელიან, რადგან ფოსტა-ტელეგრაფის შტატები მცირეა და მოხელენი მეტის-მეტის მუშაობითა და საქმით არიან დატვირთულნი.

პრესსა

რუსულ გაზეთების უკანასკნელი ნომრები ავსილია წერილებით გოგოლის შესახებ. გაზეთები არკვევენ რუსეთის დიდებულ მწერლის მნიშვნელობასა და ღვაწლს სამშობლო ლიტერატურის წინაშე, სწერენ ბიოგრაფიებსა და მოგონებებს და სხვა. სხვათა შორის, ეხებიან აგრეთვე გოგოლის გავლენას სხვა ერების ლიტერატურაზე და იკვლევენ, თუ რამდენ ენაზეა გადათარგმნილი გოგოლის ესა თუ ის თხზულება. „ნოვ. ვრ.“-ს გამოანგარიშებით, გოგოლი გადათარგმნილია მხოლოდ 28 ენაზე; ამ მხრით მას უჭირავს მეექვსე ადგილი: პირველი ადგილი უჭირავს პუშკინს, რომელიც გადათარგმნილია 70 ენაზე, მეორე—კრილოვს (50), მესამე—ლევ ტოლსტოის (40), მეოთხე—ლერმონტოვს (30) მეხუთე—ჟუკოვსკის (30). მაგრამ გაზეთი უმატებს, რომ მისი გამოანგარიშება სრულიად ნამდვილი არ უნდა იყოს, რადგან საკმაო ცნობები არა გვაქვს ხელთაო. უეჭველია, ჩვენ მიერ აღნიშნულ ენების გარდა, გოგოლი სხვა ენებზედაც უნდა იყოს თარგმნილიო; მაგალითად, ქართულს ენაზედო, რადგან „ქართული ლიტერატურა რუსეთის იმპერიის სხვა ერების (არა რუსთა) ლიტერატურაზე უფრო გაცხოველებულიაო“. მართალი შენიშვნაა „ნოვ. ვრემია“-სი, რომ მასალა ნაკლები ჰქონია და სრული ანგარიში ვერ შეუდგენია; ქართულ ენაზე, მაგალითად, თუმცა ცოტაა გოგოლიდან ნათარგმნი, მაგრამ არის-კი.

ამის შესახებ ვკითხულობთ ბ. ალ. ხახანაშვილის წერილს „რუსსკ. ვედომ.“-ში. სამწუხაროდ, როგორც სჩანს, არც ბ. ხახანაშვილს ჰქონია საკმაო ცნობა ამ საკითხის შესახებ. მისის სიტყვით, გოგოლის მხოლოდ სამი თხზულებაა ქართულ ენაზე თარგმნილი: „რევიზორი“, „ფარაჯა“ (შინელი) და „როგორ აეშალა ივანე ივანეს ძე ივანე ნიკიფორეს ძეს“. ჩვენა გვგონია, რომ მეტი უნდა უყოს: თუ არა ვსცდებით, გადათარგმნილია „შეშლილის წერილები“, გარდა ამისა ამ სტრიქონების დამწერს წაუკითხავს ხელთნაწერი კარგი თარგმანი „ცხვირისა“, თუმცა, ვგონებთ, დაბეჭდილი არსად ყოფილა. ბ. ხახანაშვილი შემდეგ ეხება გოგოლის გავლენას ქართულს ლიტერატურაზე და აღნიშნავს, რომ ილ. ჭავჭავაძის მოთხრობას „კაცია ადამიან“-ს გოგოლის გავლენა ცხადად ატყვია; ამავე გავლენის ნიშნებს ვამჩნევთო ჰონქაძის „სურამის ციხე“-საო; უფრო-კი მე-60 წლების ქართული მწერლებიო, დასძენს ბ. ხახანაშვილი, პუშკინისა და ლერმონტოვის მოწაფენი არიან და არა გოგოლისაო.

გორის მემამულეთა სინდიკატის წლიური კრება

კვირას, 24 თებერვალს, ს. გომში მოხდა, გ. დ. ჟურულის თავჯდომარეობით, გორის მემამულეთა სინდიკატის წლიური კრება; როგორც წლიური ანგარიშიდანა სჩანს, სინდიკატს წარსული წლის განმავლობაში ჰქონია 96,617 მან. და 19 კაპ. აპერაცია წინა (1900) წელთან შედარებით 70,742 მ. და 57 კაპეიკი ნაკლები. საანგარიშო წლის განმავლობაში სინდიკატს უნახავს ზარალი შემდეგ აპერაციებში: 1) ხე-ტყის მასალის—140 მან. და 23 კაპ; 2) ბათუმის აგენტურის—402 მ. და 86 კაპ; 3) გორის განყოფილების—560 მ. და 57 კაპ; 4) სოფ. ბრეთის განყ.—823 მან. და 56 კაპ. 5) სოფ. კნოველის განყ.—223 მან. და 52 კაპ. 6) საიჯარო მამულების - სინდიკატს გომში იჯარით აქვს აღებული ბ.ბ. ხ. მამაცაშვილისა და ბ. განძიელის მამულები 600 დესიატინამდე—1900 მანეთად და წარსულ წლებში ამ მამულებიდან 4,000 მანეთამდე მოგება რჩებოდა. წელს კი 259 მან. 59 კაპ. ზარალი უნახავთ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო: 7) ბათუმის პოდრიადის—341 მან. და 48 კაპ. ეს ზარალი გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ წინანდელ გამგე დირექტორსა და ბათუმის ქალაქის გამგეობის ხელ-შეკრულებით სინდიკატს უნდა ეძლია 68 კაპ. ფუთი ქერი ან შვრია. შემდეგ კი გამგეობა ღებულობდა მარტო შვრიას, რომელიც არ მოჰყავთ გორის მაზრაში და იძულებული იყო სინდიკატი ნოვოროსიისკიდან და სხვა ქალაქებიდან გამოეწერა იგი, რაც უფრო დიდ-ფასებში უჯდებოდა მას, ვიდრე ხსენებულ გამგეობიდან იღებდა; 8) გაბათილებული ზოგიერთ ვალი—443 მანეთი და 18 კაპ. 9) სასამართლოებში დახარჯული—61 მან. 10) 1900 წლის ვალის გადახდაში—1,582 მან. და 99 კაპ. 11) გამორიცხულია ინვენტარიდან 4.010 მან. 39 კაპ. ამოდენა თანხა იმიტომ გამოირიცხა ინვენტარიდან, რომ წინა წლებში ინვენტარზე დახარჯულ თანხის გასანაღდებლად რიცხავდენ

მარტო 10% როგორც შემოდებულია საზოგადოდ, მაგრამ სინდიკატის ინვენტარის თვისება სულ სხვაა,—ამბობს დამთვალიერებელი კომისია და გამგეობა თავის მოხსენებაში. მაგალითად, ტომრებში დახარჯული თანხა უნდა განაღდდეს ორი წლის განმავლობაში, რადგანაც ამ ორის წლის წინედ შენეძილი ტომრები სრულებით დაფხრეწილი და გაფუჭებულია. ზოგიერთი სამეურნეო იარაღები ისე გაფუჭებულა ამ ორი წლის განმავლობაში, რომ აღარაფრად არა ღირს—და სხვა-და-სხვა. ამ რიგად შემდგარა მთელი ვალი 15,886 მან. და 70 კაპ. რომელსაც ეხლანდელი გამგეობა სინდიკატისა აწერს 1900 წლის აპერაციის მმართველ-გამგეობას. დიდი ზარალი მოსვლია სინდიკატს განყოფილებების დაარსებაში. სულ სინდიკატს 1900 წელს გაუხსნია 5 განყოფილება: ორი ქუთაისის გუბერნიაში და სამი გორის მაზრაში. ამჟამად დაუხურავთ უკვე ყველა განყოფილებები და საქმის წარმოება არსებობს მხოლოდ ს. გომში. კამათი გამოიწვია დამსწრეთა შორის ზოგიერთ განყოფილების დახურვამ, მაგრამ კრება იმ აზრისა იყო, რომ ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია სინდიკატისათვის რომელიმე განყოფილების წარმოებაო.

კრებამ ერთხმად დაადგინა დაფარულ იქნეს წარსული წლის ზარალი სათადარიგო საზოგადო საჭიროების თანხებიდან და თუ საჭირო იქნება აღებ-მისაცემი თანხიდანაც, რომელიც შევსებული უნდა იქნეს დამატებითი საწევრო ფულით ერთი წლის განმავლობაში. შემდეგ კრებამ მოისმინა მიმდინარე წლის ხარჯ-აღრიცხვა, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული. გამგეობას საჭიროდ დაუნახავს შეამციროს ხარჯები 14,000 მანეთი 6000 მანეთამდე, რომელიც გამოისახა მოსამსახურე პირთა რიცხვის (14) შემცირებით (ხუთამდე) და გამგეობის ზოგიერთ წევრების ჯამაგირების გაუქმებით. კრებამ ვერ მოასწრო ზოგიერთი საინტერესო კითხვების განხილვა და არჩევანების მოხდენა და 17 მარტისათვის გადასდო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 თებერვალი.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ 25 თებერვალს, პროკურორის განკარგულებით დაბეჭდილია პეტერბურგ-აზოვის საკომერციო ბანკის საქმეები. ამ საქმეში პროკურორის ჩარევა გამოიწვია საკომერციო სასამართლოს დადგენილებამ, რომელმაც ეს ბანკი გამოაცხადა გაკოტრებულად.—ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ს დაბადების დღეს პეტრო-პავლოვსკის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა მიცვალებულის წირვა, რომელსაც დაესწრნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და იმპერატორის საგვარეულო წევრნი. იმავე დილას გადაიხადა პანაშვიდი მე-145 ნოვოჩერკასკის იმპერატორ ალექსანდრე მე-III პოლკმა თავის შეფის საფლავზე. პეტერბურგში დაბრუნდნენ გზათა, იუსტიციისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრნი.

ვორონეჟი. დაარსდა ნაფიც ვექილთა კონსულტაცია.

ვილნა. აქ გაიხსნება სახელმწიფო და რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკების განყოფილებანი.

ვარშავა. ვარშავის სამეურნეო სინდიკატი აარსებს მოსამსახურეთათვის ემერიტალურ კასსას. ამ ოლქის საკომერციო სასწავლებლებში ჰსურთ შემოიღონ ლათინური ენის სწავლება, მხოლოდ სავალდებულო არ იქმნება. საერთო საკრედიტო საზოგადოებამ 69 მამული დანიშნა გასაყიდად.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკ-ჰერალდი“-ის სიტყვით, პეტერბურგში მყოფ ტოუერს, შეერთებულ შტატების ელჩს, უცხოეთის საქმეთა თავის სამინისტროსათვის გადაუცია ისტორიული ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდა რუსეთი ამერიკისა და ისპანიის ომის დროს. ამასთანავე ელჩი დასძენს, რომ პაუნსეფოტი სცდილობდა დაეყოლიებინა სახელმწიფოები, გამოეთქვათ უთანხმოება შეერთებულ შტატების პოლიტიკის შესახებ.

სარატოვი. წითელი ჯვრის ადგილობრივმა მმართველობამ მიიღო კიდევ ათასი თუმანი ღრძილის ავადმყოფობით შეპყრობილთათვის დასახმარებლად.

მოსკოვი. „ოხოტნორიადის“ ვაჭრები აგროვებენ ფულს ალექსანდრე ნეველის და იმ წმინდანების ხატების გასაკეთებლად, რომელთა დღეებს დღესასწაულობენ და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმპერატორის ალექსანდრე მე-II-ის ცხოვრებაში.

„ოხოტნორიადის“ ვაჭართ ჰსურთ ეს ხატი პეტერბურგში წაიღონ და დაასვენონ განმათავისუფლებელ-ხელმწიფის საფლავზე სახსოვრად ორმოცის წლის შესრულებისა გლეხობის განთავისუფლებიდან.

ოდესსა. ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს მმართველობის უფროსმა ნება მისცა დაიდგას უმავთულო ტელეგრაფის აპარატები ხერსონსა და გოლტის ნავთ-სადგურის შუა, 15 ვერსტის მანძილზე, რათა ტეხნიკებმა დაწვრილებით გაიგონ ამის მოწყობილება. მოკლე ხანში დაიწყება ამ ტელეგრაფის მოქმედება.

სარატოვი. ნება დაერთო ბირჟის კომიტეტს დააარსოს სანავოსნო-სადავო საქმეების გამხილველი კომისია.

ვარშავა. მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ზინოვიევი.

ბიისკი. აქ მიწის ძვრა იყო. გაგრძელდა 18 წუთს.

პენზა. წითელ ჯვრის ადგილობრივმა მმართველობამ გამოაცხადა, რომ მიიღებენ შეწირულებას შემახულების სასარგებლოდ.

ბრიუსელი. გაზეთ „პტი ბლო.“-ს ლონდონიდან სწერენ, რომ დელარეის მიერ დატყვევებულთა რიცხვი მეტუენითურთ ათასამდეა. ორას ერთი ტყვე იმათ რიცხვშია, რომელნიც არ არიან განთავისუფლებულნი.

ფილადელფია. პრინც ჰენრიხმა მისთვის გამართულ უკანასკნელ ნადიმზე აღნიშნა, რომ მის აქ მოსვლას არავითარი საიდუმლო მიზანი არა აქვს. პრინცმა თავის სიტყვა დააბოლოვა შემდეგით: „გვცადნეთ დამეგობრებას და საქმითაც მართლა მეგობრები ვიყვნეთ“.

ბერლინი. კერძო ხმაა ბელგრადიდან, რომ ჩერნოგორიის მეფის შვილი მირკო დანიშნულა კონსტანტინოვიჩის ქალზე, ობრენოვიჩთა ნათესავზე.

პეტერბურგი. დღეს მოხდა წლიური კრება იმპერატორის ალექსანდრე მე-II სახსოვრად დაარსებულის ისტორიულ ცნობათა გამავრცელებელ საზოგადოებისა.

27 თებერვალი

ოდესა. აქ მოვიდა სამსახურის საქმეებისა გამო სატუსაღოების უმთავრესი მმართველობის უფროსის თანაშემწე გერნეტი. რუსეთის საზოგადოების მიერ გაგზავნილი გემები „აი პეტრი“ და „სმელი“ მივიდნენ სიზოპოლში, სადაც დაიღუპა სამგზავრო გემი „ცესარევნა“, და შეუდგნენ მუშაობას. ჯერ მხოლოდ ახერხებენ გემის წვრილი ნაწილების ამოღებას. მანქანის და უფრო ფასიან ნაწილების ამოღება ძნელიც არის და ხარჯსაც ბევრს მოითხოვს. დნეპრზე დაიწყო გემთა მიმოსვლა.

ბერლინი. დეპუტატთა პალატაში სტატს-სეკრეტარმა რიხტგოფენმა გამოაცხადა, რომ ინგლისი თანახმაა გაუგზავნოს გაქცეულ ბურებს ბანაკებში შეწირული სოჯასხო ნივთები.

ორატორი ჰსთხოვდა მხედველობაში იქონიონ ის მსხვერპლი, რომელიც მოიტანა ომმა, დაზოგონ ინგლისთა გრძნობა და სამხრეთ-აფრიკის ამბების შესახებ იქონიონ სამართლიანი სჯა. „იმისთანა შემთხვევებში, როგორც მეტუენის დაჭრაა, გერმანიას შეუძლიან თანაგრძნობა გამოუცხადოს ინგლისს. შესაძლებელია ნება მოგვცენ გავგზავნოთ სამხრეთ-აფრიკაში საექიმო რაზმი დაჭრილთა დასახმარებლად; ეს მოხერხდება, თუ ინგლისელები დარწმუნდებიან, რომ გერმანელები მათი მეგობრები და ნათესავები არიან“. ეს სიტყვა ლანდტაგმა მოიწონა.

ხარკოვი. აქაურმა საზოგადოებამ იშვიათის თანაგრძნობით პატივი სცა სენატორს ტობიზენსა და მის მეუღლეს, რომელნიც ხარკოვიდან მიდიან. შეაგროვეს მათის სახელობის ფონდი 3000 მან., რომელიც ტობიზენებმა საქველ-მოქმედო საზოგადოებას გადასცეს სტიპენდიის დასაარსებლად.

მარიუპოლი. დაიწყო ნავოსნობა.

განჯა. საქალაქო მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ გაიყვანონ რკინის გზის შტო სადგურიდან ქალაქის შუა გულში.

ბიისკი. მაზრის დამშეულ მცხოვრებთა გამოსაკვებად და ყანების დასათესად არა ნაკლებ 300 ათასი ფუთი ხორბალია საჭირო.

როსტოვი-დონზე. ნავოსნობა დაიწყო.

განჯა. საქალაქო მმართველობამ დაადგინა გახსნას საქალაქო ბანკი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ლემბერტი ეკითხება მთავრობას—აპირებს იგი თუ არა მიმშველ ჯარების გაგზავნას სამხრეთ-აფრიკაში მეტუენის დამარცხების გამო. ბროდრიკი უპასუხებს, რომ კიტჩენერს კიდევ ეგზავნება მიმშველი ჯარები. შემდეგ თვეში გაეგზავნება 6000 იომანრი; გასაგზავნად მზად არის ქვეითა და ცხენოსანი რაზმები.

კიტჩენერს ვუგზავნით ყოველ დახმარებას, რომელსაც კი თხოულობს. ბროდრიკი ჰფიქრობს აგრეთვე, რომ კიტჩენერს არ უჭირს იმაზე მეტი დახმარება, რაც აღნიშნულია.

ცეტინიე. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მთავარმა მირკომ დანიშნა პოლკოვნიკის კონსტანტინოვიჩის ქალი.

გობოკენი. პრინცი ჰენრიხი დაბრუნდა.

კოპენჰაგენი. საერო კრებამ ხმის უმრავლესობით მოიწონა ხელშეკრულობა ვესტინდიის კუნძულების გადაცემის შესახებ.

პეტერბურგი. გეჯასი (არაბეთში) საშიშრად არის აღიარებული ხოლერის მხრივ.

პეტერბურგის ბირჟა 26 თებერვალს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,80	
ბერლინზე „	46,27½	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
1% სახელმწიფო რენტა	96¼	გაყიდ.
1½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	376	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	300½	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	96⅛	„
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი. ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლიუსტისა.

განცხადებანი

საუკეთესო აბრეშუმის
გრენა
(თესლი)
არუთინ ქალანთაროვის ფირმისა იყიდება ხელმისაწვდენ ფასებში. გრენი შემოწმებულია კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფებს თეთრი ბანდეროლი არტყია.
ადრესი: სიონის ქუჩა ძმ. მელიქ. მარუთოვების მაღაზია. (15—2)

ზიზ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
იყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

ცინკოგრაფია
წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ქ. ბათუმში
იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“
სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში
სამეურნეო სასწავლებელი
ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება რვა თვეში (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსული წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგათ გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა რვა თუმანია. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.
ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ, № 20). (10—8)

Дозволено цензурою Тифлисъ, 27 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.